ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N80

ქ.თბილისი 29 აპრილი, 2021 წელი
13⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე	ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი	ლევან დარახველიძე
ანა ლაშხი	ზაზა მამალაძე
ქეთევან მამულაშვილი	მიხეილ მესხი
თინათინ ნიბლოშვილი	შალვა ოგბაიძე
ვაჟა ოთარაშვილი	ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	დავით უთმელიძე
ბორია ფირცხელიანი	გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით ჭელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)	ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე	

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის მოწვევა და დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების დაჩქარებული წესით განხილვა განპირობებულია „ახალი კორონავირუსის - COVID-19"-ის პანდემიის გამო დაწესებული თითქმის ორკვირიანი დასვენების დღეებით. მან აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი, რომლის განხილვა სრულფასოვნად ვერ მოესწრო შემჭიდროვებული ვადების გამო და მიმართა გაიოზ თალაკვაძეს, რომ მაისის ან ივნისის თვეში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების წარმოდგენისას, გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მოსაზრებები, რომლებიც, ძირითადად, ეხება თბილისის რაიონულ გამგეობებს. მისი თქმით, თბილისის ბიუჯეტის მაჩვენებელი „რეკორდულია" და მასში ასახულია ყველა იმ მიმართულების დაფინანსების ზრდა, რომელიც იყო დაანონსებული.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტი „რეკორდულ ნიშნულზეა ასული". მისი თქმით, ამ თანხის გადანაწილება უნდა მოხდეს პრიორიტეტების მიხედვით, რათა მაქსიმალურად მოხდეს მისი ათვისება და მოხმარდეს თბილისის მოსახლეობას. მან აქვე აღნიშნა, რომ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მხარს უჭერს ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს.

ლევან არველაძემ განაცხადა, რომ ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია მხარს უჭერს თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ის ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც იყო დაანონსებული, კერძოდ, მცირე და საშუალო რესტორნების, კლუბების და მსახიობების დახმარება, რისთვისაც გამოყოფილია დაახლოებით ოთხი მილიონი ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის N78-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქ.თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP“-სთვის (ს/კ.: 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ანაგი“-ს (ს/კ.: 245416401) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ.: N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

10. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.65; 81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N353 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

11. „ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099; N01.17.13.045.038 (ნაკვ. 45/038)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

12. „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N365 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

13. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

14. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისგანაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ თბილისის ბიუჯეტს ფინანსთა სამინისტროდან დაემატა 30000000 ლარი, ბიუჯეტის შემოსავალი ქონების გადასახადში გაიზარდა 12000000 ლარით, საპრივატიზაციო გეგმა იზრდება 11000000 ლარით და არის მოლოდინი, რომ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები გარე რეკლამის უფლების გაყიდვიდან, გაიზრდება 24000000 ლარით. მისი თქმით, წარმოდგენილი ცვლილებები ხარჯვით ნაწილში გადანაწილდება შემდეგნაირად: ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდება რამდენიმე პროექტი; „თბილსერვის ჯგუფს“, ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად, დაემატება დაფინანსება; სპორტის მიმართულებით გაიზრდება დაფინანსება ორი ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოებისთვის და სპორტული ობიექტების მშენებლობა-აღჭურვისთვის; თანხა გამოიყოფა მთაწმინდის საბაგირო გზის მშენებლობისთვის; გათვალისწინებულია ტრანსპორტის კომპანიის სუბსიდია და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიას დაემატება თანხა სხვადასხვა დანადგარების შესაძენად; თანხა დაემატება მერის სარეზერვო ფონდს „ახალი კორონავირუსის - COVID-19“-ით დაზარალებული ოჯახების და რესტორნების დახმარებისთვის და ასევე მიმდინარე საჭიროებებისთვის; დაფინანსება გაეზრდება „თბილსერვის ჯგუფს“, რაც გამოწვეულია იმით, რომ შარშან, წლის ბოლოს, განხორციელდა თანამშრომლებისთვის ხელფასების მცირედით ზრდა; თანხა დაემატება ჯანდაცვის და სოციალურ მიმართულებას კომუნალური სუბსიდიისთვის, სკრინინგისა და აუტიზმის პროგრამებისთვის. თანხები მიმართული იქნება ასევე: სტუდენტების და მაგისტრანტების სტიპენდიისთვის; ქალაქში ელექტრომობილების დამტენების მოსაწყობად; ბაგა-ბაღების ვაუჩერებისთვის; გარე განათების მიმართულებით; სამარშრუტო ტაქსების სუბსიდიის მიმართულებით, რაც გამოწვეულია ტარიფის შემცირებით; მიკროავტობუსებში მგზავრთა მთვლელების შესყიდვისთვის; ნაფეტვრების გზის გაფართოვებისთვის. ასევე, წარმოდგენილია მცირედი შიდა გადანაწილებები რაიონულ გამგეობებში.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი პასუხობს ყველა იმ ძირითად მიმართულებას, რომლებზეც მუშაობს მუნიციპალიტეტი და ცვლილებებით გათვალისწინებულია ყველა ის პრიორიტეტი, რომელიც იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ახალი კორონავირუსის - COVID-19“ პანდემიდან გამომდინარე, სპორტის სექტორი იყო ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე და ბევრ ადამიანს გაუჭირდა სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით, თბილისის მერიამ და კომპანიის წარმომადგენლებმა განაგრძეს და ახლაც აქტიურად მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ 7000000 ლარზე მეტი, დამატებითი ტრანსფერით, მოხმარდება კიდევ უფრო მეტი სპორტული სივრცის და ობიექტის მოწყობას, მათ შორის არის: ბაგების ახალი საფეხბურთო მოედანი, „მზიურის“ მიმდებარედ ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი და ერთ-ერთი დიდი პროექტი - მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც ნებისმიერ ადამიანს ექნება საშუალება დაკავდეს სპროტით, ისარგებლოს სხვადასხვა კულტურული წრით და საგანმანათლებლო სივრცით. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ გაიზარდა იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც მუნიციპალიტეტისგან მიიღებენ დაფინანსებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის მერია, პანდემიის პერიოდში, გვერდში უდგას მოსახლეობას. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტით, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით წარმოდგენილია ყველა ის ცვლილება, რომელიც მოემსახურება თბილისელების ინტერესს, რომ მაქსიმალურად განვითარდეს სპორტული ინფრასტრუქტურა და ახალგაზრდობის მიმართულებას ჰქონდეს ხელშეწყობა.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ განათლებისა და კულტურის მიმართულებით გაზრდილი დაფინანსება მოხმარდება ისეთ მნიშველოვან მიმართულებებს, როგორებიცაა:

ლილოს დასახლებაში და ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის მოწყობა და ვაკის მედიათეკის გათბობა-გაგრილების სისტემის მოწყობა; 150000 ქულამდე სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, ბაგა-ბაღების სუბსიდირება, ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება და ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ სატრანსპორტო მიმართულებით არასდროს დახარჯულა ამ მოცულობის თანხა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების მიმართულებით არასდროს გაკეთებულა ამდენი საქმე. მისი თქმით, ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა და მომავალი წლისთვის, დაგეგმილია კიდევ 180 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის შეძენა, რომლებიც ივლიან სპეციალურად გამოყოფილ დერეფნებზე, მიმდინარეობს ლურჯი ავტობუსების ავტოპარკის გაზრდის პროცესი და მეტროპოლიტენის ვაგონების მოდერნიზაცია. საუბრის ბოლოს, შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ქალაქში სატრანსპორტო პოლიტიკა სწორად მიმდინარეობს, რაც მუნიციპალიტეტის და ამ სფეროში მომუშავე ადამიანების დამსახურებაა და მადლობა გადაუხადა მათ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებს საკრებულოს ყველა კომისია დადებითად აფასებს და განაცხადა, რომ ბიუჯეტის მოცულობა არის უპრეცედენტოდ მაღალი, რაც იძლევა ქალაქის განვითარების მეტ შესაძლებლობას და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაახლოებით მაისის ან ივნისის თვეში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან წარმოდგენილი იქნას თბილისის ბიუჯეტში ცვლილებები, სადაც გათვალისწინებული იქნება საკრებულოს მოსაზრება, რომელიც გულისხმობს გამგეობების მხრიდან მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას.

ოთარ გრიგოლია შეუერთდა გიორგი ტყემალაძის მოსაზრებას, რომ მაისის ბოლოს ან ივნისში ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებებისას, გათვალისწინებული იქნას საკრებულოს მოსაზრება თბილისის რაიონული გამგეობების მიმართულებით და აქვე აღნიშნა, რომ ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართულები უნდა იყვნენ საკრებულოს წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით არსებულ ლოტებზე სამარშრუტო ერთეულების ჯამური რაოდენობა განისაზღვრება 1500-ით და ასევე, განსაზღვრული იქნება ამ ერთეულებზე მათ მიერ გასავლელი კილომეტრაჟი, თვეების მიხედვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის N78-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ამ დადგენილებით დამტკიცებული სანებართვო მოწმობის ფორმის ამოღებას დადგენილებიდან, ვინაიდან ამ საკითხს, ახალი ფორმით, დაარეგულირებს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო პროექტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი დეტალურად არეგულირებს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალს, სანებართვო მოწმობის ფორმას, მათი ჩამოწერის, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესებს. ამასთანავე, პროექტი ითვალისწინებს დღემდე მოქმედი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, რადგან ეს უკანასკნელი აღარ შეესაბამება დღეს მოქმედ კანონმდებლობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს მცირემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების მხარდაჭერას. მიმდინარე წელს ამ მიმართულებით გათვალისწინებული მცირე რესურსიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი შეძლებს რამდენიმე პროექტის განხორციელებას, რომელთა ძირითადი თემატიკა იქნება დედაქალაქთან დაკავშირებული შინაარსის პროექტები, თუმცა, ამ კუთხით, ეტაპობრივად, გაიზრდება ხელშეწყობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უმრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ერთი ტექნიკურ-ფინანსური და ერთი შინაარსობრივი ცვლილება. კერძოდ: ტექნიკურ-ფინანსური ხასიათის ცვლილება ითვალისწინებს 2021 წლის ბიუჯეტიდან გარკვეული თანხის გამოყოფას იმ დაზარალებული პირებისთვის, რომლების დაკმაყოფილებაც დღემდე ვერ მოხერხდა; ხოლო შინაარსობრივი ცვლილება ეხება დადგენილების ერთ-ერთ პუნქტს, რომელიც ითვალიწინებს სახლის შეძენის მიზნით, ფულადი ანაზღაურების მიცემას იმ პირებისთვის, რომელთა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები ექვემდებარება რეაბილიტაციას, თუმცა რეაბილიტაციის ხარჯი აღემატება სტიქიამდე არსებული ქონების - როგორც მიწის ნაკვეთის, ასევე შენობა-ნაგებობის, საშუალო საბაზრო ღირებულების 50%-ს. აღნიშნულ პუნქტს ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ პირი უარს განაცხადებს ფულადი დახმარების მიღებაზე, მას გადაეცემა სარეაბილიტაციო ქონების სტიქიამდე არსებული უშუალოდ შენობა-ნაგებობის საშუალო საბაზრო ღირებულება იმავე შენობა-ნაგებობის აღდგენის ან ახლის აშენების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP“-სთვის (ს/კ.: 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია იმით, რომ 70 კვ.მ.-თი მცირდება აღნაგობის უფლებით გადაცემული საგანი, რაც თავისთავად, იწვევს აღნაგობის ქირის შემცირებასაც, დაახლოებით 2600 ლარით. აღნიშნული ცვლილება, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ ზემოთ ხსენებული 70 კვ.მ., აუქციონის საფუძველზე, განიკარგა ახალ მესაკუთრეზე, რომელთანაც მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა და საკუთრების მოწმობის სხვა პირზე გაცემის შემდეგ, 70 კვ.მ.-ზე არსებული აღნაგობის უფლებები და ვალდებულებები გადაყვება ახალ მესაკუთრეს. აქედან გამომდინარე, თბილისის მერიასთან არსებულ ხელშეკრულებაში 70 კვ.მ.-თი შემცირდება აღნაგობის საგანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით,შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ანაგი“-ს (ს/კ.: 245416401) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ.: N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას, რომლის ფარგლებიც, შპს „ანაგი“, დიდ დიღომში, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ითხოვს კ2 კოეფიციენტის გადამეტების უფლებას 4.6-დან 11.0-მდე, თუმცა მუნიციპალიტეტმა მოთხოვნა შეუცვალა და დაუთვალა 3.5-დან, რის საფუძველზეც, შპს „ანაგის“ მიერ დასაფინანსებელი თანხის ოდენობა გაიზარდა ერთი მილიონით და ასევე, შპს „ანაგის“ მხრიდან იყო მაქსიმუმ 53 საპარკინგე ადგილის მოთხოვნა, რაზეც ასევე არ დაეთანხმა მუნიციპალიტეტი და განუსაზღვრა 80 სარკინგე ადგილი.

მარიკა დარჩია დაინტერესდა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულ პირებს საცხოვრებელი სახლები გადაეცემათ თუ არა იმავე მისამართებზე, სადაც ჰქონდათ თანხა გადახდილი.

ლევან ჟორჟოლინმა განმარტა, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობის საკითხი იყოფა ორ ნაწილად: პირველი არის კორპუსები, რომლებიც თითქმის დასრულებულია, თუმცა შიგნით არავითარი მოსაპირკეთებელი სამუშაოები არ არის ჩატარებული და ასეთია ექვსი კორპუსი და მეორე არის ასაშენებელი კორპუსები. წარმოდგენილი პროექტი ეხება მოსაპირკეთებელ კორპუსებს, სადაც ხალხი ცხოვრობს, თუმცა იქ არ არის მოწყობილი სადარბაზოები, ლიფტები და ა.შ. რაც შეეხება ასაშენებელ კორპუსებს, დარჩენილია მხოლოდ ერთი ობიექტი, რომელზეც ინვესტორთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, ხოლო ყველა სხვა ობიექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს გადაწყვეტილება და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი, რომელიმე კომპანიაზე, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე ახორციელებს მშენებლობას, ყიდის კ2 კოეფიციენტს და ამ ფულს ხარჯავს აშენებული კორპუსების მოპირკეთებაში. ხოლო ასაშენებელი კორპუსები, უკვე გადაცემული აქვს სხვადასხვა კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ სამშენებლო სამუშაოებს. მისი თქმით, ამ პროექტების განხორციელებით მუნიციპალიტეტი „დიდ საქმეს აკეთებს“, რომლის ფარგლებშიც, 2-3 წლის განმავლობაში მოგვარდება ათწლეულების მანძილზე არსებული მინიმუმ 10000 ოჯახის პრობლემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-0321118142-03 თარიღი: 28.04.2021, N12-0321118143-03 თარიღი: 28.04.2021 და N12-032017049-03 თარიღი: 18.06.2020 (განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „ზ“ პოზიცია) წარმოდგენილი წინადადებები, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.65; 81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N353 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია 32 ინდივიდუალური სახლის განთავსება, საცხოვრებელი ზონა 2-ის პარამეტრებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099; N01.17.13.045.038 (ნაკვ. 45/038)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 8283 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი

დავალების მიხედვით, კერძოდ, ტერიტორიაზე განთავსდება ერთი მრავალფუნქციური შენობა, სადაც 75% იქნება კომერციული, ხოლო 25% საცხოვრებელი დანიშნულების ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N365 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ერთი შენობის კონფიგურაციის ცვლილება და დამატებით სამი დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 12756 კვ.მ., სადაც დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომლის 70%-ზე გათვალისწინებულია მრავალფუნქციური შენობის განთავსება, ხოლო საცხოვრებელ ფუქნციას დაეთმობა 30%. აღსანიშნავია, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და შესაბამისად, გათვალისწინებულია არსებული შეზღუდვები.

მარიკა დარჩია დაინტერესდა, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მოქმედებს საცდელი მეურნეობის ფუნქცია თუ ამ ტერიტორიას დარჩა ძველი სახელი.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ ხსენებული ტერიტორია არ ფუნქციონირებს სასწავლო საცდელი მეურნეობის დატვირთვით, დარჩენილია მხოლოდ სახელი.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ სამწუხაროდ, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მხოლოდ სახელი დარჩა. მისი თქმით, ბუნების დაცვის სამინისტროს რუკის თანახმად, ეს არის ზონა, საიდანაც დედაქალაქში შემოდის სუფთა ჰაერი და დაუშვებელი იყო ყოველგვარი განაშენიანება, თუმცა დღევანდელი ხელისუფლება აგრძელებს წინა ხელისუფლების მიერ დაწყებულ პოლიტიკას, რომ თბილისი მოექცეს „რკინა-ბეტონის კასკადების ბლოკადაში" და

მთავარი პრობლემაა არა ის, თუ რამდენსართულიანი შენობა-ნაგებობა განთავსდება, არამედ ის, რომ ქალაქის გარშემო არ იქმნება რეკრეაციული ზონა.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ ახალი გენ.გეგმის მიხედვით, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიის ნაწილის სამშენებლო მიმართულებით განვითარება შესაძლებელია, ხოლო ნაწილი დარჩენილია, როგორც სარეკრეაციო სივრცე და ამ სივრცეში, რა თქმა უნდა, განაშენიანება დაუშვებელია. წარმოდგენილი პროექტი ხორციელდება იმ არეალზე, სადაც 2019 წელს დამტკიცებული გენ.გეგმით დაშვებულია განაშენიანება.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ გენ.გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობდა წლების განმავლობაში და მის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ როგორც ქართველი, ასევე, საერთაშორისო ექსპერტების ფართო ჯგუფები. გენ.გეგმაში საუბარია არა იმაზე, რომ უნდა შეწყდეს განვითარება და მშენებლობა, არამედ იმაზე, რომ მოხდეს ქალაქის სწორი განაშენიანება, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა მიმართა არაერთ ღონისძიებას და მათ შორისაა ახალი გენ.გეგმის შემუშავებაც, რომელიც იძლევა გაცილებით უკეთესი ქალაქის მშენებლობის შესაძლებლობას. მისი თქმით, იმ პროცესების გათვალისწინებით, რაც დღეს ქალაქში მიმდინარეობს, აბსოლუტურად უსაფუძვლოა ბრალდებები დღევანდელი ხელისუფლების მიმართ და თუ ვინმეს დააინტერესებს თუ რას გულისხმობს გენ.გეგმის ესა თუ ის კონკრეტული ჩანაწერი, შეუძლია მიმართოს შესაბამის სამსახურს ან კომისიას, რომლებიც გაუზიარებენ ექსპერტულ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ სად და რა ტიპის განვითარებაა მისაღები და სად არის მშენებლობა დაუშვებელი.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ურბანულ კომისიაში კონსულტაციის გავლა არაფერში სჭირდება, რადგან თვალნათლივ ჩანს, რომ ქალაქში არის „შენობების კასკადი... თბილისმა დაკარგა თავისი ხიბლი... არც არქიტექტურულად არ არის დახვეწილი და მისაღები ის, რაც დღეს თბილისში ხდება“. გარდა ამისა, მისი თქმით, ქალაქი შენდებოდა დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე და მისთვის გაუგებარია „დღეს ვისთვის ვაშენებთ ამ კორპუსებს? დემოგრაფიული სიტუაცია არის გათვალისწინებული?“ საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ სწორედ საერთაშორისო ექსპერტები იყვნენ ჩართულები საყდრისის აფეთქებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვებშიც, თუმცა, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ აფეთქდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ძეგლი.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ვაჟა ოთარაშვილს, რომ მრავალსართულიანი შენობების მშენებლობასთან დაკავშირებით არაერთხელ გამოთქმული კომენტარიდან და წუხილიდან გამომდინარე, გადაწვიტა გაუზიაროს საკუთარი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არავის მოსწონს ყველაფერი ის, რაც ბოლო წლების განმავლობაში ქალაქში მოხდა მშენებლობების კუთხით, თუმცა საჭიროა იმის გაანალიზება თუ რა პროცესების მონაწილე გახდა საკრებულო ბოლო 3 წლის განმავლობაში და რა გადაწყვეტილებები მიიღო. რამდენიმე წუთის წინ, საკრებულომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო კონკრეტულ ობიექტზე კ2 კოეფიციენტის გადაჭარბებაზე, რადგან დაზარალებულია ათიათასობით ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკრებულო მსგავს გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. რაც შეეხება დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმას, ის ვერ იქნებოდა ისეთი დოკუმენტი, რომელიც იდეალურად წარმართავდა ყველაფერს და ერთ-ორ თვეში მივიღებდით ყველასთვის მოსაწონ შედეგს. გენერალურმა გეგმამ შემოგვთავაზა ძირითადი მიმართულებები და შევთანხმდით, თუ როგორი უნდა იყოს ქალაქი - ის უნდა განვითარდეს შიგნით და არ უნდა იყოს ათვისებული გარე სივრცეები, უნდა აიკრძალოს კ2 კოეფიციენტის გადაჭარბება, რაც აკძალულია, უნდა გაიზარდოს სარეკრეაციო არეალები, რომლებიც კვადრატულობით იმაზე მილიონობით მეტია, ვიდრე ეს იყო ადრე და ა.შ. მისი თქმით, ყველა მშენებლობა არ არის უპირობოდ ცუდი, რისი არაერთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება და აქედან გამომდინარე, მთავარია მუნიციპალიტეტმა დაარეგულიროს პროცესები და კომპლექსურად გააანალიზოს თუ რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს ქალაქის განვითარება.

მარიკა დარჩიამ განაცხადა, რომ თბილისს, პრაქტიკულად, ათწლეულების მანძილზე არ ჰქონია დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, რამაც მიგვიყვანა დღეს არსებულ მდგომარეობამდე და ნამდვილად არ შეიძლება მოგვწონდეს ყველაფერი ის, რაც იყო. მისი თქმით, გენერალური გეგმა არის ცოცხალი ორგანიზმი და კონცეფცია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და მისი მიღება იყო უდაოდ გადამწყვეტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 41500 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, ტერიტორიაზე განთავსდება ოთხსართულიანი, 17 მეტრის სიმაღლის, შენობა-ნაგებობები, რომლებსაც ექნებათ თავიანთი, საერთო ჯამში 9000 კვ.მ., რეკრეაციული სივრცე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისგანაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 13243 კვ.მ., სადაც, არსებული ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში, დაგეგმილია 18 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 8750 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2021 წლის 19 მარტს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, არსებული ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 9 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი